

მარიამ მენაბდე

Riseba University, რიგა

Erasmus+ აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში, 2023 წლის აპრილში ვიმყოფებოდი Riseba უნივერსიტეტში (რიგა).

ვიზიტის დროს ჩავატარე ლექცია არქიტექტურის ბაკალავრიატის მე-3 კურსის სტუდენტებთან თემაზე „Retail Interior Design“. ლექციაზე ასევე ვიმუშავეთ კონკრეტულ თემაზე, რომელზეც სტუდენტებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები.

ვიზიტის ფარგლებში ასევე ჩავატარე საჯარო ლექცია „Architecture of Tbilisi“ რომელსაც ესწრებოდნენ არქიტექტურისა და დიზაინის ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტი მათ შორის ლექტორებიც და პროფესორებიც. საჯარო ლექცია ასევე ონლაინ რეჟიმშიც მიმდინარეობდა, რის საშუალებითაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო დასწრება.

გარდა დაგეგმილი სალექციო საათებისა, ვიზიტის ფარგლებში შევხვდი RUDOLFS DAINIS ŠMITS (LV) - არქიტექტურის ფაკულტეტის დეკანსა და მაგისტრატურის არქიტექტურის პროგრამის დირექტორს, ასევე - ZANE VEĪJA (LV) ბაკალავრის დონის არქიტექტურის პროგრამის დირექტორს. განვიხილეთ მომავალი შესაძლო თანამშრომლობის შესაძლებლობები. მათი მხრიდან გაჩნდა ინტერესი და მზაობა თანამშრომლობაზე. ვაგრძელებთ აქტიურ მუშაობას სხვადასხვა მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი აკადემიური პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო კუთხითა თუ პრაქტიკული გამოცდილებით კვალიფიკაციის ამაღლებასა და გამოცდილების შეძენას.